ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდი"-ს
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი 4-4

ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდი"-ს მიერ 2013 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად კონკურსის მეშვეობით ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო შედგენის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული საკონკურსო განცხადებასთან (N987) დაკავშირებით 2013 წლის 13 ნოემბერს შედგა ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდი"-ს საკონკურსო კომისიის სხდომა, გამარჯვებულის გამოვლენასთან დაკავშირებით.
სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო კომისიის და აპარატის წევრები შემდეგი შემადგენლობით:
ა) თავმჯდომარე - ავთანდილ დარჩია;
ბ) წევრი (მოადგილე) - ამირან შაქარაძე;
გ) წევრი - ლევან სამსონაძე (მოწვეული);
დ) წევრი - გიორგი კაცაძე;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. საკითხი – ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებული კონკურსზე (987) გამარჯვებულის გამოვლენა;
განიხილეს: საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ საკონკურსო განცხადების (987) შედეგებს, რომლის თანახმადაც აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა: შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი" (ს/კ 205286616).
კომისიამ განიხილა პრეტენდენტის (შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი") შემოთავაზება, აღინიშნა, რომ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შესაბამისობაშია საკონკურსო განცხადების მოთხოვნასთან, კომისიის წევრებმა განახორციელეს კონკურენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება კრიტერიუმისა და პრიორიტეტულობის მიხედვით (დანართები თან ერთვის).

ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (987), საკონკურსო კომისიის წევრთა შეფასების მიხედვით შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი" მინიჭებულ ქულათა ჯამმა შეადგინა ---- ---31------- ქულა. შესაბამისად პრტენდენტი (შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი") გამოვლინდა გამრჯვებულად.

კომისიამ იმსჯელა საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით და დაადგინა:
1). ააიპ ბათუმის განვითრების ფონდის მიერ ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნთ გამოცახდებულ კონკურსში (987) გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი";
2). აღნიშნულის შესახებ ეცნობოს პრეტენდეტს და 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გაფორმდეს ხელშეკრულება;
3) საკონკურსო კომიისის ოქმები და თანდართული დოკუმენტაციები გადაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სისტემაში ატვირთვისა და კონკურსზე სტატუსის „გამარჯვებული გამოვლენილია" მინიჭების მიზნით.

/ავთანდილ დარჩია/

/ამირან შაქარაძე/

/ლევან სამსონაძე/

/გიორგი კაცაძე/

ბათუმის განვითარების ფონდი GEORGIA BATUMI DEVELOPMENT FOUNDATION 24560352